

აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატაციის სახელმძღვანელო

მუხლი 1. ზოგადი ინფორმაცია

ზოგადი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

- ა) აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატაციის სახელმძღვანელოს დანიშნულებას და მასში განხილულ საკითხებს;
- ბ) აეროდრომის/ვერტოდრომის სასერტიფიკაციო და სახელმძღვანელოს მიმართ წაყენებულ სამართლებრივი ხასიათის მოთხოვნებს;
- გ) სახელმძღვანელოს გავრცელების აღრიცხვას;
- დ) სახელმძღვანელოში ცვლილების შეტანის და გავრცელების პროცედურას, ასევე სახელმძღვანელოში ცვლილების შეტანის აუცილებლობის განსაზღვრას;
- ე) სახელმძღვანელოს მოქმედი გვერდების აღრიცხვას;
- ვ) სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინებს და შემოკლებებს;
- ზ) აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატანტის დასახელებას, ფიზიკურ და იურიდიულ მისამართს;
- თ) აეროდრომის/ვერტოდრომის პასუხისმგებელი ხელმძღვანელის სახელს, გვარს, საკონტაქტო ინფორმაციას;
- ი) აეროდრომის/ვერტოდრომის გამოყენების პირობებს, ანუ იმის განცხადებას, რომ ნებისმიერ დროს, როცა აეროდრომი/ვერტოდრომი ღიაა საჰაერო ხომალდების ასაფრენ-დასაფრენად, ის ღია იქნება ყველა პირისათვის თანაბარ პირობებში;
- კ) სააერონავიგაციო ინფორმაციის სისტემას ჰაერსაანავიგაციო ინფორმაციით მომსახურების არსებობის შესახებ ინფორმაციას და ამ ინფორმაციის მომსახურებით, სააერონავიგაციო ინფორმაციის გამოქვეყნების პროცედურებს;
- ლ) საჰაერო ხომალდების მიერ შესრულებული ოპერაციების რეგისტრაციის სისტემას;
- მ) აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატანტის ვალდებულებებს;
- ნ) სასერტიფიკაციო მოთხოვნებიდან გადახრა/გათავისუფლება რაც არ არის უზრუნველყოფილ აეროდრომზე/ვერტოდრომზე.

მუხლი 2. აეროდრომის/ვერტოდრომის განლაგების ინფორმაცია

აეროდრომის/ვერტოდრომის განლაგების ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

- ა) გეგმას, რომელზეც ნაჩვენებია აეროდრომის/ვერტოდრომის საექსპლუატაციოდ განკუთვნილი ძირითადი საშუალებები;
- ბ) აეროდრომის/ვერტოდრომის გეგმას, მისი საზღვრების ჩვენებით;

გ) გეგმას, მანძილის ჩვენებით, აეროდრომიდან/ვერტოდრომიდან უახლოეს ქალაქამდე და/ან დასახლებულ სხვა პუნქტ(ებ)ამდე, აგრეთვე, აეროდრომის/ვერტოდრომის საზღვრებს გარეთ ყველა სააეროდრომო/ვერტოდრომის დანადგარისა და საშუალების ადგილმდებარეობას;

დ) აეროდრომის/ვერტოდრომის განთავსების ადგილზე საკუთრების უფლების დამადასტურებელ მონაცემებს. იმ შემთხვევაში, თუ საკუთრების უფლების დამადასტურებელი საბუთით აეროდრომის/ვერტოდრომის მიწათმფლობელობის საზღვრები არ არის განსაზღვრული, მითითებული უნდა იყოს მონაცემები მფლობელობაზე ან მიწის ფლობის უფლებაზე, რომელზედაც განთავსებულია აეროდრომი/ვერტოდრომის;

ე) აეროდრომის/ვერტოდრომის დაცვის აერეებს, დადგენილი ფორმატით (მათ შორის დაბრკოლებებისაგან დაცვის, ლაზერული გამოსხივებისაგან, ცოცხალი ბუნების კონტროლის და ხმაურის გავრცელების არეები, ასეთების არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 3. სააერონავიგაციის ინფორმაციის სამსახურისათვის გადასაცემი მონაცემები

1. გადასაცემი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

ა) აეროდრომის/ვერტოდრომის დასახელებას;

ბ) აეროდრომის/ვერტოდრომის ადგილმდებარეობას;

გ) მსოფლიო გეოდეზიური სისტემაში (WGS-84) განსაზღვრული აეროდრომის/ვერტოდრომის საკონტროლო წერტილის კოორდინატებს;

დ) აეროდრომის/ვერტოდრომის შემაღლებას (EGM-96) და გეოიდის ტალღას;

ე) გეოიდის ტალღას და ყოველი ზღურბლის შემაღლებას, ასაფრენ-დასაფრენი ზოლის (ადზ) ბოლოს შემაღლებას და ადზ-ის გასწვრივ ნებისმიერი წერტილის მნიშვნელოვან ამაღლებას თუ დადაბლებას, აგრეთვე დაფრენის არეში ყველაზე დიდ შემაღლებას, ადზ-ზე დასაფრენად ზუსტი შესვლის გათვალისწინებით;

ვ) აეროდრომის/ვერტოდრომის მაგნიტურ გადახრას;

ზ) აეროდრომის/ვერტოდრომის რაიონში ჰაერის გაანგარიშებულ ტემპერატურას;

თ) აეროდრომის/ვერტოდრომის შუქურის ზუსტ მონაცემებს;

ი) აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატანტის ტელეფონის ნომრებს, რომელზეც შეიძლება დაკავშირება ნებისმიერ დროს.

2. აეროდრომის/ვერტოდრომის ზომები და მასთან დაკავშირებული გადასაცემი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

ა) ადზ-ის გეოგრაფიულ აზიმუტს, ციფრულ აღნიშვნას, სიგრძეს, სიგანეს, ადზ-ის გადაადგილებული ზღურბლის ადგილმდებარეობას, ქანობებს, TLOF-ის ზედაპირის ტიპს, ადზ-ის ტიპს, ხოლო დაფრენაზე ზუსტი შესვლისათვის – დაბრკოლებისაგან თავისუფალი არეს არსებობას;

ბ) საფრენი ზოლის/FATO-ს ზედაპირის ტიპს, სიგრძეს და სიგანეს, ადზ-ის უსაფრთხოების ბოლო არეებს, დამუხრუჭების ბოლო არეს;

გ) სამიმოსვლო ბილიკის (სბ) ზედაპირის ტიპს, სიგრძეს, სიგანეს და ქანობებს;

დ) საჰაერო ხომალდების სადგომისა და ბაქნის ზედაპირის ტიპს და ქანობებს;

ე) დაბრკოლებისაგან თავისუფალი ზოლის მიწის ზედაპირის პროფილს და სიგრძე/სიგანეს;

ვ) დასაფრენად შესვლის სქემების ვიზუალურ საშუალებებს, კერძოდ: მიახლოების ნათურების სისტემების და გლისადის ვიზუალური ინდიკაციის სისტემების (PAPI/APAPI/HAPI) ტიპებს, ადზ-ის, სამიმოსვლო ბილიკებისა და ბაქნის შუქების და მარკირების სისტემებს, ორიენტირების სხვა ვიზუალურ საშუალებებს, ბაქანზე და სამიმოსვლო ბილიკებზე მართვას (ადზ-თან მოსაცდელი ადგილების შუქების ჩათვლით, შუალედური მოსაცდელი ადგილებით და „სდექ“-ის ხაზებით), ტელესკოპურ ტრაპთან ვიზუალური შეპირაპირების სისტემის ტიპს, შუქების სარეზერვო კვების წყაროს არსებობას;

ზ) აეროდრომის ნებისმიერ ადგილზე განთავსებული ყოველმხრივ მიმართული განსაკუთრებული მაღალი სიხშირის რადიოშუქურის (VOR) შემოწმებას;

თ) მიმოსვლის სტანდარტული მარშრუტების ადგილმდებარეობას და მონიშვნას;

ი) ყოველი ზღურბლის გეოგრაფიულ კოორდინატებს;

კ) სამიმოსვლო ბილიკების ღერძული ხაზის წერტილების გეოგრაფიულ კოორდინატებს (მიმართულების ცვლილების გათვალისწინებით);

ლ) საჰაერო ხომალდების სადგომების გეოგრაფიულ კოორდინატებს;

მ) ასაფრენ და დასაფრენად შესვლის არეებში, სააეროდრომო წრის და აეროდრომის/ვერტოდრომის რაიონში მნიშვნელოვანი დაბრკოლებების გეოგრაფიულ კოორდინატებს და შემადლებას. ეს ინფორმაცია, როგორც წესი, მიეწოდება რუკის სახით, რომელიც აუცილებელია ჰაერსანაოსნო ინფორმაციის კრებულისათვის;

ნ) ხელოვნური საფარის ტიპს და მის ამტანუნარიანობას, „საჰაერო ხომალდების და საფარის კლასიფიკაციური რიცხვის (ACN-PCN) მეთოდის“ მიხედვით;

ო) გაფრენისწინა შემოწმებისთვის სიმაღლის საზომების ბაქანზე განთავსებულ ერთ ან რამდენიმე მოედანს და მათ შემადლებას;

პ) გამოცხადებულ მანძილებს, მათ შორის: ასაფრენად არსებული მანძილი (TODA), გასაქანად არსებული მანძილი (TORA), შეწყვეტილი აფრენისათვის არსებული მანძილი (ASDA), დაფრენის არსებული მანძილი (LDA);

ჟ) მოძრაობისუნარდაკარგული საჰაერო ხომალდის გატანის გეგმას. იმ პირის ტელეფონის ნომერს და ელექტრონული ფოსტის მისამართს, რომელიც პასუხისმგებელია გატანის კოორდინაციაზე. მოძრაობის უნარდაკარგული საჰაერო ხომალდის აეროდრომიდან/ვერტოდრომიდან გატანის შესაძლებლობას, მათ შორის, ყველაზე უფრო მძიმე ხომალდის გატანისა, რომლის საშუალებაც გააჩნია ექსპლუატანტს;

რ) ხანძართან ბრძოლას და შველას: დაცვის უზრუნველყოფის დონეს, რაც გამოხატულია ხანძარსაწინააღმდეგო და საავარიო-სამაშველო სამსახურების კატეგორიით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ყველაზე უფრო გრძელ საჰაერო ხომალდს, რომელიც დაფრინავს/შესაძლოა

იფრონოს აღნიშნულ აეროდრომზე/ვერტოდრომზე და გააჩნია გარკვეული რაოდენობის და ტიპის ცეცხლმაქრი ნივთიერებები.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ცნობების სიზუსტეს განსაკუთრებული მნიშვნელობას აქვს საჰაერო ხომალდების ფრენის უსაფრთხოებისთვის, რის შესაბამისადაც მონაცემები, რომლებიც საჭიროებენ ინჟინერ-ტექნიკურ შემოწმებასა და შეფასებას, უნდა განხორციელდეს და შეგროვდეს კვალიფიციური სპეციალისტების მიერ.

მუხლი 4. აეროდრომის/ვერტოდრომის საქსპლუატაციო პროცედურების მონაცემები და უსაფრთხოების უზრუნველყოფი ზომები

1. ინფორმაცია უნდა შეიცავდეს საქართველოს AIP-ში გამოქვეყნებული მონაცემების ნებისმიერი ცვლილების/შეუსაბამობის შეტყობინებისა და NOTAM-ის გამოცემის მოთხოვნების წარდგენის პროცედურებს, მათ შორის:

ა) ნებისმიერ ცვლილებაზე/შეუსაბამობაზე შეტყობინების წესს, აგრეთვე, ცვლილებების/შეუსაბამობის შეტყობინების რეგისტრაციის წესს, აეროდრომის/ვერტოდრომის სამუშაო და არასამუშაო საათებში;

ბ) აეროდრომის/ვერტოდრომის ცვლილებების/შეუსაბამობის შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის გვარსა და თანამდებობას, ტელეფონის ნომრებს მათთან დასაკავშირებლად, როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო საათებში;

გ) მისამართს და ტელეფონის ნომერს, სადაც გადაეცემა ინფორმაცია ცვლილებებზე.

2. აეროდრომის/ვერტოდრომის სამიმოსვლო არეზე (სამუშაო მოედანზე) უცხო პირთა, ცხოველების და სატრანსპორტო საშუალებების, არასაქცირებული შეღწევის აღსაკვეთი პროცედურების დაწვრილებითი მონაცემები, და მასზე პასუხისმგებელ პირებს, მათ შორის:

ა) აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატანტის, საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის, მუდმივი ბაზირების საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტის, საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის უწყების, სააგენტოს და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ფუნქციები, კონკრეტული შემთხვევების გათვალისწინებით;

ბ) აეროდრომზე/ვერტოდრომზე დაშვების მაკონტროლებელი თანამშრომლ(ებ)ის გვარი და თანამდებობა, აგრეთვე, ტელეფონის ნომერი, სამუშაო და არასამუშაო დროს მათთან დასაკავშირებლად.

3. აეროდრომზე/ვერტოდრომზე საგანგებო ვითარებაში მოქმედების გეგმა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ICAO Doc 9137 მე-7 ნაწილის მოთხოვნებს და მოიცავდეს:

ა) აეროდრომზე/ვერტოდრომზე ან მის რაიონში საგანგებო ვითარებისას მოქმედების გეგმას, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ფრენისას საჰაერო ხომალდის გაუმართაობასთან, შენობის ხანძრთან, დივერსიის, აფეთქების საშიშროების ჩათვლით, საჰაერო ხომალდის უკანონოდ ხელში ჩაგდებასთან, აგრეთვე აეროდრომზე მომხდარი ინციდენტებისას მოქმედების გეგმას, რომელიც მოიცავს შესაბამის ღონისძიებებს როგორც „ავარიული ვითარების მსვლელობისას“, ასევე „ავარიული ვითარების შემდეგ“;

ბ) საგანგებო ვითარებისას გამოყენებული სააეროდრომო/ვერტოდრომის აღჭურვილობისა და საშუალებების გამოცდის დაწვრილებით ცნობებს, მათ შორის, ასეთი გამოცდის სიხშირეებზე;

გ) საგანგებო ვითარებისას მისაღები ზომების გეგმის შემოწმების მიზნით ჩატარებული წვრთნების დაწვრილებით ცნობებს, ჩატარების სიხშირის ჩათვლით;

დ) შესაბამისი უფლებამოსილი პირების, უწყებების და ორგანიზაციების ჩამონათვალს, როგორც აეროდრომზე/ვერტოდრომზე, ასევე მის გარეთ, ადგილზე აუცილებელი ფუნქციის შესასრულებლად, მათი ტელეფონის ნომრებს, ელექტრონული ფოსტისა და საავიაციო ელექტროკავშირგაბმულობის (SITA) მისამართს, აგრეთვე მათი სამსახურების რადიოსადგურის სიხშირე(ებ)ს;

ე) საგანგებო ვითარების მართვაზე პასუხისმგებელი ერთეულის, ან ასეთი ფუნქციის მატარებელი სტრუქტურული დანაყოფის დებულებას, რომლის მიზანია ორგანიზება გაუკეთოს წვრთნას და აწარმოოს სხვა მოსამზადებელი სამუშაოები ავარიული ვითარების წარმოქმნის შემთხვევაში;

ვ) საგანგებო შემთხვევის წარმოქმნისას ოპერაციების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირის თანამდებობრივ ინსტრუქციას.

ზ) აეროდრომზე/ვერტოდრომზე საგანგებო ვითარებისას მოქმედების გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნას ადამიანური ფაქტორების სწორად გამოყენება და მართვა.

4. შველისა და ხანძარქრობის დაწვრილებითი მონაცემები, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) შველისა და ხანძარქრობის სფეროში წაყენებულ ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებს დანადგარებზე, საშუალებებზე, პროცედურებზე და იმ პერსონალზე, რომლებიც პასუხისმგებლები არიან აეროდრომის/ვერტოდრომის სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის საქმიანობაზე.

ბ) ინფორმაცია სახანძრო დაცვის კატეგორიის შესახებ;

გ) სახანძრო დაცვაზე და სამაშველო სამუშაოების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პერსონალის შესახებ ინფორმაციას, მათი რაოდენობის, ფუნქციების და მოვალეობების განაწილების მითითებით;

დ) შველასთან და ხანძრის ქრობასთან დაკავშირებულ პროცედურებს;

ე) შველასთან და ხანძრის ქრობასთან დაკავშირებული ავტო-სატრანსპორტო საშუალებების, ძირითადი საშუალებებისა და აღჭურვილობის ჩამონათვალს და მახასიათებლებს;

ვ) წყლის, ხანძარმაქრი ძირითადი და დამხმარე ნივთიერებების რაოდენობასა (საერთო მარაგების მითითებით) და მათი ხარჯვის ნორმების შესაძლებლობას;

ზ) აეროდრომზე/ვერტოდრომზე სადაც გამოიყენება სპეციალური აღჭურვილობა/საშუალებები მათ აღწერას და ფუნქციონალურ შესაძლებლობას, რათა შენარჩუნებული იყო შველის ეფექტურობა და სახანძრო დაცვის შესაბამისი კატეგორია;

თ) შველისა და ხანძრის ქრობის დროს გარე უწყებების ჩართულობის შემთხვევაში, მათთან კოორდინაციას და პასუხისმგებლობას;

- ი) მეხანძრე-მაშველების პირველადი და პერიოდული სწავლებების შესახებ მონაცემებს;
- კ) აეროდრომის/ვერტოდრომის ტერიტორიაზე მოქმედ სხვა უწყებებთან სახანძრო დაცვის უზრუნველყოფის საკითხები;
- ლ) შეზღუდული ხილვადობის დროს მოქმედების პროცედურები;
- მ) სხვა ინფორმაცია რაც საჭიროა აეროდრომზე შველისა და ხანძრისქრობის პროცესების ეფექტურობისათვის.

5. აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატანტის მიერ აეროდრომის სამუშაო მოედნის და დაცვის არეს შემოწმების პროცედურების მონაცემები უნდა შეიცავდეს:

- ა) აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატაციის სამუშაო და არასამუშაო პერიოდში შემოწმების ჩატარების თანმიმდევრობის წესს, ადზ-ზე, სბ-ზე და ბაქანზე არსებული მდგომარეობის დადგნის მიზნით;
- ბ) შემოწმების ჩატარებისას, საკაერო მოძრაობის მომსახურების/მართვის ორგანოებთან ურთიერთ თანამშრომლობისა და ამისათვის აუცილებელი კავშირის საშუალების ორგანიზებას;
- გ) შემოწმების ჩატარების ჟურნალის შენახვის წესსა და მისი შენახვის ადგილს;
- დ) საინსპექციო შემოწმების ჩატარების პერიოდულობას და ინტერვალის ზუსტ მონაცემებს;
- ე) საინსპექციო შემოწმების ჩატარების საკონტროლო საკითხების ჩამონათვალს;
- ვ) საინსპექციო შემოწმების შედეგების წარმოდგენის თანმიმდევრობას და სახიფათო პირობების აღმოფხვრის ღონისძიებებს;
- ზ) საინსპექციო შემოწმების ჩამტარებელი პირის სახელსა და თანამდებობას, მის ტელეფონის ნომერს, სამუშაო და არასამუშაო პერიოდში დასაკავშირებლად.

6. აეროდრომის/ვერტოდრომის ელექტროსისტემები და ვიზუალური საშუალებები.

- ა) სააერონავსო სანათების (დაბრკოლების შუქშემოდგომის გათვალისწინებით) ნიშნების, მარკირების და აეროდრომის/ვერტოდრომის ელექტროსისტემის ტექნიკური მომსახურებისა და შემოწმების პროცედურების მონაცემები, უნდა შეიცავდეს:
 - ა.ა) აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატაციის სამუშაო და არასამუშაო პერიოდში შემოწმების ჩატარების მიმდევრობას და ამ შემოწმებების საკონტროლო საკითხების ჩამონათვალს;
 - ა.ბ) შემოწმების ჩატარების შედეგს, რეგისტრაციის თანმიმდევრობას და გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად შემდგომ მოქმედებებს;
 - ა.გ) ჩვეულ და ავარიულ ვითარებაში ტექნიკური მომსახურების ჩატარების წესს;
 - ა.დ) ელექტრომომარაგების სათადარიგო წყაროების გამოყენების წესს (ასეთის არსებობისას), ასევე, სხვა ნებისმიერი სისტემის ნაწილობრივი ან საერთო მტყუნების აღმოფხვრის წესს;

ა.ე) შუქების სისტემის მომსახურე ტექნიკური პერსონალის/პირის გვარს და თანამდებობას, მის ტელეფონის ნომრებს, სამუშაო და არასამუშაო პერიოდში მასთან დასაკავშირებლად.

7. სამიმოსვლო არეს (სამუშაო მოედნის) ტექნიკური მომსახურება.

ა) სამიმოსვლო არეს (სამუშაო მოედნის) ტექნიკური მომსახურების პროცედურებისა და საშუალებების ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

ა.ა) ხელოვნურსაფარიანი მოედნების ტექნიკური მომსახურების წესს;

ა.ბ) ბუნებრივსაფარიანი ადზ-ის და სბ-ს ტექნიკური მომსახურების წესს;

ა.გ) საფრენი ზოლისა და სამიმოსვლო ზოლების ტექნიკური მომსახურების წესს;

ა.დ) აეროდრომის სადრენაჟო სისტემის ტექნიკური მომსახურების წესს.

8. აეროდრომზე/ვერტოდრომზე ჩატარებული სამუშაოების უსაფრთხოება

ა) აეროდრომის/ვერტოდრომის სამიმოსვლო არეს (სამუშაო მოედნის) და მის სიახლოვეს იმ სამშენებლო სამუშაოებისა და ტექნიკური მომსახურების დაგეგმვისა და უსაფრთხოდ ჩატარების პროცედურები, რომელიც შეიძლება შესრულდეს დაბრკოლებების შემზღვევად ზედაპირებზე უფრო მაღლა, შეიცავს:

ა.ა) საჰაერო მოძრაობის მართვის ორგანოებთან კავშირის მოგვარებას ამ სამუშაოების შესრულების პერიოდში;

ა.ბ) იმ პირების გვარებსა და ორგანიზაციის ტელეფონის ნომრებს, ვინც პასუხისმგებელია ამ სამუშაოების დაგეგმვასა და შესრულებაზე, აგრეთვე, ამ პირებთან და ორგანიზაციებთან კავშირის ნებისმიერ დროს;

ა.დ) აუცილებლობის შემთხვევაში, ასეთი სამუშაოების ჩატარების გეგმის ჩამონათვალის გავრცელებას.

9. ბაქანზე მოქმედების ორგანიზება

ა) ბაქანზე მოქმედებების პროცედურების ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

ა.ა) საჰაერო მოძრაობის მომსახურების/მართვის ორგანოსა და ბაქანზე მოქმედების ორგანოს შეთანხმებულ მოქმედებებს;

ა.ბ) საჰაერო ხომალდების სადგომების განსაზღვრას;

ა.გ) საჰაერო ხომალდების ბუქსირებაზე და ძრავის გაშვებაზე ნებართვის გაცემის უზრუნველყოფას;

ა.დ) საჰაერო ხომალდების მიმოსვლის (ხმელეთზე მოძრაობის) რეგულირების სამსახურს;

ა.ე) გაცილების სამსახურს.

10. ბაქანზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ა) ბაქანზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფი პროცედურები უნდა შეიცავდეს:

ა.ა) რეაქტიული ჭავლის ზემოქმედებისაგან პირების დაცვას;

ა.ბ) საჭაერო ხომალდების საწვავით გამართვისას, გამაფრთხილებელი ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფას;

ა.გ) ბაქნის დასუფთავებას და დალაგებას;

ა.დ) ბაქანზე მომხდარი შემთხვევებისა და ინციდენტების შეტყობინებების გადაცემის წესს;

ა.ე) ბაქანზე მომუშავე პერსონალის მიერ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფი წესების შესრულების შემოწმების ორგანიზებას.

11. კონტროლირებად არეში სატრანსპორტო საშუალებების მართვა

ა) აეროდრომის/ვერტოდრომის სამუშაო არეზე და მის სიახლოვეს მომუშავე ტრანსპორტის მართვის პროცედურებზე მონაცემები უნდა შეიცავდეს:

ა.ა) მოძრაობის წესებს (სიჩქარის შეზღუდვის გათვალისწინებით და ამ წესების შესრულებისათვის საშუალებებით უზრუნველყოფა);

ა.ბ) სამუშაო არეში მომუშავე მძღოლებისათვის ნებართვის გაცემის სისტემას.

12. ცოცხალი ბუნების მიერ გამოწვეული საფრთხე

ა) საჭაერო ხომალდების ჰაერში ან სამუშაო არეზე მოძრაობისას, ფრინველებთან ან ცხოველებთან დაკავშირებულ საფრთხის შემცირების პროცედურების ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

ა.ა) ბუნებრივად შექმნილი საფრთხის აღმოსაფხვრელ ღონისძიებებს;

ა.ბ) ცხოველების და ფრინველების მიერ ფრენის უსაფრთხოებისათვის შექმნილი საფრთხის აღმოსაფხვრელი პროგრამის რეალიზაციის ღონისძიებებს;

ა.გ) ამ სამუშაოების შემსრულებელი პასუხისმგებელ პირთა გვარებს და თანამდებობას, მათი ტელეფონის ნომრებს, სამუშაო და არასამუშაო დროს მათთან დასაკავშირებლად.

13. დაბრკოლებათა კონტროლი

ა) დაბრკოლებათა კონტროლის პროცედურების მონაცემები უნდა შეიცავდეს:

ა.ა) აეროდრომის/ვერტოდრომის ზედაპირზე არსებული დაბრკოლებების შემზღუდავი ზედაპირების კონტროლს;

ა.ბ) დაბრკოლებების კონტროლს, ექსპლუატანტის უფლებამოსილების ფარგლებში;

ა.გ) აეროდრომის/ვერტოდრომის დაცვის არეს ფარგლებში ახალი მშენებლობის კონტროლს;

ა.დ) დაბრკოლების სახეობისა და ადგილმდებარეობის, აგრეთვე, ნებისმიერი დაბრკოლების წარმოქმნისა და მისი აღმოფხვრის სააგენტოსათვის შეტყობინებას, იმისათვის, რათა მან შეძლოს აუცილებელი ზომების მიღება.

14. მოძრაობისუნარდაკარგული საჭაერო ხომალდის გატანა

ა) სამუშაო არედან ან მისი სიახლოვიდან მოძრაობისუნარდაკარგული საჭაერო ხომალდის გატანის პროცედურების მონაცემები უნდა შეიცავდეს:

ა.ა) საჰაერო ხომალდის სარეგისტრაციო მოწმობის მფლობელის/ექსპლუატანტის და აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატანტის ფუნქციებს;

ა.ბ) საჰაერო ხომალდის სარეგისტრაციო მოწმობის მფლობელის/ექსპლუატანტის შეტყობინების წესს;

ა.გ) საჰაერო მოძრაობის მომსახურების/მართვის ორგანოსთან ურთიერთობის წესს;

ა.დ) მოძრაობისუნარდაკარგული საჰაერო ხომალდის გასატანად აუცილებელი პერსონალისა და დანადგარების ჩამონათვალს, ასევე აღნიშნულ სიტუაციაში მოქმედების წესს;

ა.ე) მოძრაობისუნარდაკარგული საჰაერო ხომალდის გატანაზე პასუხისმგებელი პირების გვარებს, ფუნქციებს და ტელეფონის ნომრებს.

15. საშიშ მასალებთან მოპყრობა.

ა) საშიშ მასალებთან მოპყრობის პროცედურები და შენახვასთან დაკავშირებული მონაცემები უნდა შეიცავდეს:

ა.ა) აეროდრომზე/ვერტოდრომზე სპეციალური ადგილის გამოყოფას ადვილად აალებადი სითხეების (მათ შორის – ავიასაწვავის) და სხვა ნებისმიერი საშიში მასალის (ადვილად აალებადი მყარი მასალების, კოროზიული სითხეების, შეჭირხნული აირების, დამაგნიტებული ან რადიოაქტიური ნივთიერებების) შესანახად;

ა.ბ) საშიში მასალების დადგენილი წესით შემოტანას, შენახვას და დამუშავებას, აგრეთვე, მისგან გათავისუფლებას.

16. შეზღუდული ხილვადობის პირობებში აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატაცია

აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატაციის პროცედურები უნდა შეიცავდეს მის ექსპლუატაციას შეზღუდული ხილვადობის პირობებში, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს სააერნაოსნო მომსახურების საწარმოსთან, რაც უნდა მოიცავდეს – აუცილებელი გაზომვის პროცედურებს, აგრეთვე ადრ-ზე ხილვადობის გაზომვაზე პასუხისმგებელ პირთა საკონტაქტო ინფორმაციას.

17. სარადიოლოკაციო და სანავიგაციო მომსახურებაში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების დაცვის არეს შესახებ ინფორმაცია (ნახაზები). სააერნაოსნო საშუალებების განთავსების ადგილის დაცვა.

ა) აეროდრომზე/ვერტოდრომზე დამონტაჟებული სარადიოლოკაციო და სანავიგაციო მომსახურებაში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების სააერნაოსნო დანადგარების განლაგების ადგილის დაცვის პროცედურების მონაცემები, მათი დანიშნულებისამებრ გამოყენების უზრუნველყოფა უნდა შეიცავდეს:

ა.ა) სარადიოლოკაციო და სანავიგაციო მომსახურებაში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების საავიაციო და სარადიოლოკაციო საშუალებების განთავსების ფარგლებში მათი მუშაობის კონტროლის ორგანიზებასაქტივობების კონტროლის შესახებ ინფორმაცია; ა.ბ) ამ საშუალებების განთავსების სიახლოვეს ტექნიკური მომსახურების ჩატარების წესს;

ა.გ) მიკროტალღოვანი გამოსხივების საშიშროების გასაფრთხილებელი ნიშნების შემოტანისა და დაყენების წესს.

18. ამ მუხლით განსაზღვრულ თითოეული სახეობის პროცედურაში წერილობით უნდა ჩანდეს და ზუსტად მითითებული იყოს:

ა) როდის და რა პირობებში უნდა იქნეს მიღებული ესა თუ ის საექსპლუატაციო პროცედურა;

ბ) რა სახითაა აუცილებელი საექსპლუატაციო პროცედურის ინიცირება;

გ) რა ზომებია აუცილებლად მისაღები;

დ) რომელმა პირმა უნდა მიიღოს ეს ზომები;

ე) ამ ზომების რეალიზაციისათვის საჭირო აუცილებელი დანადგარები და ამ დანადგარებთან დაშვება.

19. თუ ამ მუხლით განსაზღვრულ პროცედურებს კონკრეტულ შემთხვევასთან არა აქვს კავშირი ან მის მიმართ არ გამოიყენება, მაშინ აუცილებელია მიეთითოს ამის მიზეზი.

მუხლი 5. აეროდრომის/ვერტოდრომის ადმინისტრაცია და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა

1. მონაცემები აეროდრომის/ვერტოდრომის ადმინისტრაციაზე უნდა შეიცავდეს:

ა) აეროდრომის/ვერტოდრომის ორგანიზაციული სტრუქტურას, ძირითადი პერსონალის გვარებს და თანამდებობებს, მათი მოვალეობების გათვალისწინებით;

ბ) აეროდრომის უსაფრთხო ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი პირების გვარებს, თანამდებობებს და მათ ტელეფონებს;

გ) აეროდრომზე/ვერტოდრომზე მოქმედი კომიტეტების შესახებ ინფორმაციას.

2. აეროდრომის უსაფრთხოების მართვის სისტემა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 6. დანართები

1. ყველა ის საჭირო დამატებით ინფორმაცია რომელიც საჭიროა აეროდრომის/ვერტოდრომის გამართულად და უსაფრთხოდ ფუნქციონირებისათვის.

2. აეროდრომის/ვერტოდრომის სქემატური ნახაზები.

სერტიფიკატის მისაღები განცხადება

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს

განცხადება

აეროდრომის/ვერტოდრომის სერტიფიკატის მიღების თაობაზე

1. განმცხადებლის მონაცემები:

განმცხადებლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის სახელი და გვარი	
განმცხადებლის იურიდიული მისამართი	
განმცხადებლის საფოსტო კოდი	
განმცხადებლის ელ.ფოსტა	
განმცხადებლის ტელეფონი	

2. აეროდრომის/ვერტოდრომის ადგილმდებარეობის მონაცემები:

აეროდრომის/ვერტოდრომის დასახელება	
უძრავი ობიექტ(ებ)ის აღწერა	
მიმართულება და მანძილი უახლოესი დასახლებული პუნქტიდან ან ქალაქიდან	
აეროდრომის/ვერტოდრომის საკონტროლო წერტილის კოორდინატები	

3. განმცხადებელი ითვლება თუ არა აეროდრომის/ვერტოდრომის განთავსების ადგილის მფლობელად:

კი არა

შენიშვნა: თუ „არა“, წარმოადგინეთ:

ა) დაწვრილებითი მონაცემები აეროდრომის/ვერტოდრომის განთავსების ნაკვეთის მიმართ უფლებებზე; და

ბ) სახელი, გვარი და მისამართი აეროდრომის/ვერტოდრომის განთავსების ნაკვეთის მფლობელისა და, აგრეთვე, წერილობითი დასტური განმცხადებლის მიერ ამ ნაკვეთის აეროდრომის/ვერტოდრომის სახით გამოყენების უფლებაზე.

4. მიუთითეთ მაქსიმალური ასაფრენი/დასაფრენი მასის მქონე საჰაერო ხომალდ(ებ)ი, რომელთათვისაც გამოყენებული იქნება აეროდრომი/ვერტოდრომის:

5. გამოყენებული იქნება თუ არა რეგულარული სამგზავრო ფრენების შესასრულებლად

კი არა

6. აეროდრომზე/ვერტოდროზე უზრუნველყოფილ იქნება:

6.1 სააეროდრომო სამეთვალყურეო მომსახურება

კი არა

6.2 სააეროდრომო საფრენოსნო საინფორმაციო მომსახურება (AFIS)

კი არა

7. აეროდრომი/ვერტოდრომი გამოყენებული იქნება:

დღის ფრენებისათვის ღამის ფრენებისათვის

8. აეროდრომი/ვერტოდრომი გამოყენებული იქნება:

ვიზუალური ფრენებისათვის (VFR) სახელსაწყო ფრენებისათვის (IFR)

9. ზუსტი მონაცემები, რიმელიც აღინიშნება აეროდრომის/ვერტოდრომის სერტიფიკატში

აეროდრომის/ვერტოდრომის დასახელება	
აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატანტი	

განცხადებას თან ერთვის:

(ზუსტი ჩამონათვალი თანდართული საბუთებისა, დასახელების და ფურცლების რაოდენობის მითითებით)

1. _____

2. _____

3. _____

მოგმართავთ აეროდრომის/ვერტოდრომის სერტიფიკატის მიღების თხოვნით

(განმცხადებლის უფლებამოსილი პირის გვარი, სახელი, თანამდებობა)

ხელმოწერა

თარიღი: 20 წ. _____



სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

აეროდრომის/ვერტოდრომის სერტიფიკატი
№000000

ამ სერტიფიკატის მფლობელი, ჩიკაგოს 1944 წ. კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებამოსილია განახორციელოს სამოქალაქო აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატაცია, სერტიფიკატში მითითებული პირობებითა და შეზღუდვებით:

- აეროდრომის/ვერტოდრომის დასახელება: -----
- ადგილმდებარეობა: -----
- საკონტროლო წერტილის კოორდინატები: -----
- აეროდრომის/ვერტოდრომის მფლობელი: -----
- სერტიფიკატის მფლობელი: -----
- კოდური აღნიშვნა: -----
- იკაოს-ს (ICAO) კოდი -----
- იატა-ს (IATA) კოდი -----
- სერტიფიკატის გაცემის თარიღი: -----
- სერტიფიკატის პირველადი გაცემის თარიღი და ნომერი: -----
- სერტიფიკატის მოქმედების ვადა: -----

საექსპლუატაციო პირობები: -----

საექსპლუატაციო შეზღუდვები: -----

უფლებამოსილი პირი: -----
ხელმოწერა

**პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კვალიფიკაციის შენარჩუნების/ამაღლების
პროგრამა**

1. აეროდრომის/ვერტოდრომის უსაფრთხო ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი პირს (სამსახურის უფროსს) უნდა გააჩნდეს უმაღლესი განათლება, მშენებელი ინჟინრის, ელექტრო ინჟინრის ან ინჟინერ მექანიკოსის კვალიფიკაციით, აღნიშნულ სფეროში მუშაობის არანაკლები 3 წლის გამოცდილებით.
2. აეროდრომის/ვერტოდრომის უსაფრთხო და გამართულ ექსპლუატაციაში მონაწილე პერსონალს გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი სწავლება, წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული პროგრამის მიხედვით, რომელსაც შეიმუშავენ აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატანტი.
3. აეროდრომის/ვერტოდრომის პერსონალის კვალიფიკაციის შენარჩუნების/ამაღლების პროგრამა დგება იმ ფორმატით, რომ შესაძლებელი იყოს მასში ცვლილების შეტანა, გათვალისწინებული იქნას გვერდების აღრიცხვის ფორმა.
4. აეროდრომის/ვერტოდრომის პერსონალის კვალიფიკაციის შენარჩუნების/ამაღლების პროგრამა შესათანხმებლად წარედგინება სააგენტოს ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.
5. აეროდრომის/ვერტოდრომის პერსონალის კვალიფიკაციის შენარჩუნების/ამაღლების პროგრამაში მოცემული უნდა იქნას ინსტრუქტორ-მასწავლებლის და შემფასებლის საკვალიფიკაციო და უნარ-ჩვევებისადმი წაყენებული მოთხოვნები, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ დანართის მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებში მოცემულს.
6. აეროდრომის/ვერტოდრომის პერსონალის სწავლების განმახორციელებელი ინსტრუქტორ-მასწავლებელი იმავდროულად არ უნდა იყოს მის მიერ განხორციელებული სწავლების შემფასებელი.
7. აეროდრომის/ვერტოდრომის პერსონალის თეორიული სწავლება უნდა განახორციელოს შესაბამისი კვალიფიკაციის ინსტრუქტორ-მასწავლებელმა, რომელიც უნდა ფლობდეს:
 - ა) თემატიკის სრულყოფილ და სიღრმისეულ ცოდნას, რომელსაც ასწავლის;
 - ბ) უნარს გამოიყენოს შესაბამისი სწავლების ტექნიკა, რომელიც უნდა იყოს დადასტურებული/დოკუმენტირებული;
 - გ) შესაბამისი (არანაკლებ 3 წელი) გამოცდილებას იმ სფეროში რომელსაც ასწავლის;
 - დ) თეორიულ მომზადებაზე პასუხისმგებელი ინსტრუქტორ-მასწავლებელი უნდა გადიოდეს პერიოდულ გადამზადებას რათა შეინარჩუნოს ინსტრუქტორ-მასწავლებლის კვალიფიკაცია.
8. აეროდრომის/ვერტოდრომის პერსონალის პრაქტიკული სწავლება უნდა განახორციელოს შესაბამისი კვალიფიკაციის ინსტრუქტორ-მასწავლებელმა, რომელიც უნდა:
 - ა) აკმაყოფილებდეს საკითხის თეორიულ ცოდნას და გააჩნდეს შესაბამისი სამუშაო გამოცდილება რათა განახორციელოს სწავლება;

- ბ) გააჩნდეს სწავლების ჩატარების უნარ-ჩვევები და გამოიყენოს შესაბამისი სწავლების ტექნიკა;
- გ) ფლობდეს სწავლების ტექნიკას იმ სფეროში რომელსაც ასწავლის; და
- დ) გადიოდეს პერიოდულ გადამზადებას რათა შეინარჩუნოს ინსტრუქტორ-მასწავლებლის კვალიფიკაცია.
9. აეროდრომის/ვერტოდრომის პერსონალის კომპეტენტურობა და სწავლება უნდა შეაფასოს საწარმოს ხელმძღვანელის მიერ დანიშნულ, შესაბამისი ცოდნის და გამოცდილების შემფასებელმა, რომელიც:
- ა) უნდა ავლენდეს ობიექტურ და ეფექტურ შეფასების უნარს, ასევე შეეძლოს ჩატარებული სწავლების სფეროში ტესტირებების განხორციელება.
- ბ) გადიოდეს პერიოდულ გადამზადებას, რათა უზრუნველყოს შეფასების სტანდარტების მოთხოვნების დაცვა; და
- გ) აკმაყოფილებდეს საკითხის თეორიულ ცოდნას და გააჩნდეს შესაბამისი სამუშაო გამოცდილება, რომელ სფეროშიც ახორციელებს შეფასებას.
10. აეროდრომის/ვერტოდრომის პერსონალის კვალიფიკაციის შენარჩუნების/ამაღლების პროგრამაში მოცემული უნდა იქნას პირველადი სწავლების საკითხები, გადამზადების პერიოდულობა - საინჟინტო-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შესანარჩუნებელი სწავლებების სრული ციკლის განსახორციელებლად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს და საჭიროების შემთხვევაში პრაქტიკული სწავლებების განხორციელების საკითხები.
11. აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი პერსონალის კვალიფიკაციის შენარჩუნების/ამაღლების პროგრამის თემატიკა სულ მცირე უნდა მოიცავდეს:
- ა) აეროდრომის/ვერტოდრომის გაცნობას, აეროდრომის/ვერტოდრომის ინფრასტრუქტურისა და ვიზუალური საშუალებების (მარკირება, ნიშნები, მონიშვნები, სანათები) ჩათვლით;
- ბ) აეროდრომის/ვერტოდრომის მოქმედ პროცედურებს, რომელიც მოცემულია აეროდრომის/ვერტოდრომის სახელმძღვანელოში;
- გ) აეროდრომის/ვერტოდრომის საგანგებო ვითარებაში მოქმედების გეგმას;
- დ) NOTAM-ის გამოცემის პროცედურებს;
- ე) ადზ-ს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და გადაცემის პროცედურებს;
- ვ) აეროდრომზე/ვერტოდრომზე მოძრაობის მოწესრიგების წესს;
- ზ) სამუშაო მოედანზე საჰაერო მოძრაობის მართვის პროცედურებს;
- თ) რადიოკავშირის წარმოების პროცედურებს და წესებს (მათ შორის ფრაზეოლოგიას და ICAO ანბანს);
- ი) აეროდრომის/ვერტოდრომის ინსპექტირების პროცედურას და ტექნიკას;

კ) ხელოვნური საფარის დაბინძურების შეფასებას და ამის შესახებ ინფორმაციის გადაცემის პროცედურას;

ლ) ადზ-ზე შეჭიდების კოეფიციენტის შეფასების და გადაცემის პროცედურას;

მ) ადზ-ს შეჭიდულობის მზომი მოწყობილობის გამოყენებას და მის კალიბრაციას;

ნ) შეზღუდული ხილვადობის პროცედურებს;

ო) აეროდრომის ხელოვნური და ბუნებრივი საფარიანი მონაკვეთების ტექნიკური მომსახურების წესებს;

პ) აეროდრომის ტერიტორიაზე და დაცვის არეს ფარგლებში დაბრკოლებების იდენტიფიცირებისა და განსაზღვრის მეთოდებს

12. აეროდრომის/ვერტოდრომის სახანძრო-სამაშველო პერსონალის კვალიფიკაციის შენარჩუნების/ამაღლების პროგრამის თემატიკა სულ მცირე უნდა მოიცავდეს:

ა) აეროდრომის/ვერტოდრომის გაცნობას, სააეროდრომო/ვერტოდრომის ინფრასტრუქტურისა და ვიზუალური საშუალებების (მარკირება, ნიშნები, მონიშვნები, სანათები) ჩათვლით;

ბ) საჰაერო ხომალდების ტიპების გაცნობას;

გ) სახანძრო და სამაშველო პერსონალის უსაფრთხოებას;

დ) საგანგებო ვითარებისას კავშირის წარმოების სისტემების გამოყენებას, სახანძრო განგაშის სისტემის ჩათვლით;

ე) სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობების, საშუალებების, ინსტრუმენტების და დანადგარების გამოყენებას;

ვ) ხანძარმაქრი ნივთიერებების სახეობებს და მახასიათებლებს და მათ გამოყენებას;

ზ) საჰაერო ხომალდიდან მგზავრების და ეკიპაჟის წევრების ევაკუაციის განხორციელების მეთოდებს და საშუალებებს;

თ) ხანძრის სახეობებს და ხანძარსაწინააღმდეგო პროცედურებს;

ი) შველისა და ხანძრის ქრობის საშუალებების ადაპტაციას სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო ოპერაციების დროს;

კ) სახიფათო ტვირთებს (Dangerous Goods);

ლ) სახანძრო-სამაშველო პერსონალის პასუხისმგებლობებს და ფუნქცია-მოვალეობებს, აეროდრომზე/ვერტოდრომზე საგანგებო ვითარების დროს;

მ) სახანძრო კოსტიუმების და სასუნთქი გზების დამცავი საშუალებების გამოყენებას;

ნ) ხელით გადასაცემ სიგნალებს;

ო) ადამიანური ფაქტორის და ჯგუფში მოქმედებათა კორდინაციის საკითხებს;

პ) პრაქტიკული სწავლებების განხორციელების პერიოდულობას.

13. აეროდრომის/ვერტოდრომის პერსონალის კვალიფიკაციის შენარჩუნების/ამაღლების პროგრამა საჭიროებს პერიოდულ გადახედვას და განახლებას, ეროვნული ან საერთაშორისო მოთხოვნების მიმართ თანხვედრის შენარჩუნებისა და პერსონალის შესაბამისი კვალიფიკაციის უზრუნველყოფის მიზნით.

14. აეროდრომის/ვერტოდრომის პერსონალის კვალიფიკაციის შენარჩუნების/ამაღლების პროგრამის გათვალისწინებით აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატანტი შეიმუშავებს თითოეული პერსონალისათვის სწავლების ინდივიდუალურ გეგმას.

15. აეროდრომის/ვერტოდრომის სწავლებების ჩანაწერის და სწავლების შემდეგ განხორციელებული შეფასების დამადასტურებელი ჩანაწერების შენახვას, არანაკლებ 3 წლის მანძილზე, უზრუნველყოფს აეროდრომის/ვერტოდრომის ექსპლუატანტი.



სამოქალაქო აეროდრომის/ვერტოდრომის სასერთიფიკაციო შემოწმების
კითხვა

აეროდრომის/ვერტოდრომის დასახელება:						
ავია საწარმოს დასახელება:						
კოდური აღნიშვნა:						
სერტიფიკატის ნომერი:						
შეცვლის თარიღი: _____ 20 ____ წ.				შემსვები: _____ <small>(სახელი გარი)</small>		
				_____ <small>(სახელი გარი)</small>		
№	ნორმატიული დოკუმენტი	მოთხოვნა	შეფასება			შენიშვნა
			შესაბამება	არ შესაბამება	არ გამოიყენება	


შემმოწმებელი: _____
(სახელი, გარი, ხელმოწერა)

_____ (სახელი, გარი, ხელმოწერა)

ბაგეჯანი: _____
(ეროვნობის ემპლუტატის ეფლუზამობილი პირის სახელი, გარი, ხელმოწერა)

კომენტარი: _____

სასერტიფიკაციო შემოწმების დასკვნა

 <p>საქართველოს აკრედიტაციის სააგენტო</p>	<p>აეროდრომის/ვერტოდრომის სასერტიფიკაციო შემოწმების დასკვნა</p>	
<p>1. აეროდრომის/ვერტოდრომის დასახელება და კოდური აღნიშვნა</p>	<p>დასახელება</p>	<p>კოდური აღნიშვნა</p>
<p>2. შემოწმების დრო და ადგილი</p>	<p>_____ 20 წ. ადგილი</p>	
<p>3. შემოწმების განმახორციელებელი ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორები</p>		
<p>ჯგუფის ხელმძღვანელი</p>	<p>სახელი გვარი</p>	<p>პოზიცია</p>
<p rowspan="2">ჯგუფის წევრები</p>	<p>სახელი გვარი</p>	<p>პოზიცია</p>
<p>სახელი გვარი</p>	<p>პოზიცია</p>	
<p>4. შემოწმების განხორციელების საფუძველი</p>		
<p> </p>		
<p>5. შესამოწმებელი საკიხები და ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობა</p>		
<p> </p>		
<p>6. შემოწმების დროს გამოვლენილი შეუსაბამობები/ხარვეზები (OBSERVATION)</p>		
<p> </p>		
<p>7. დასკვნა</p>		
<p> </p>		
<p>8. შემოწმებლების ხელმოწერა</p>	<p> </p>	

საფრენი მოედნის რეგისტრაციის განცხადება

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს

განცხადება

საფრენი მოედნის რეგისტრაციის თაობაზე

1. განმცხადებლის მონაცემები:

განმცხადებლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის სახელი და გვარი	
განმცხადებლის იურიდიული მისამართი	
განმცხადებლის საფოსტო კოდი	
განმცხადებლის ელ.ფოსტა	
განმცხადებლის ტელეფონი	

2. საფრენი მოედნის რეგისტრაციის მიზეზი:

3. საფრენი მოედნის ადგილმდებარეობის მონაცემები:

საფრენი მოედნის დასახელება	
უძრავი ობიექტ(ებ)ის აღწერა საფრენ მოედანზე	
მიმართულება და მანძილი უახლოესი დასახლებული პუნქტიდან ან ქალაქიდან	
საფრენი მოედნის საკონტროლო წერტილის კოორდინატები	
ადზ-ის მიმართულება ან დასაფრენად შესვლის საბოლოო ეტაპის და აფრენის ზონის (FATO) მიმართულება	

4. განმცხადებელი ითვლება თუ არა საფრენი მოედნის განთავსების ადგილის მფლობელად:

კი არა

შენიშვნა: თუ „არა“, წარმოადგინეთ:

ა) დაწვრილებითი მონაცემები საფრენი მოედნის განთავსების ნაკვეთის მიმართ უფლებებზე; და

ბ) სახელი, გვარი და მისამართი საფრენი მოედნის განთავსების ნაკვეთის მფლობელისა და, აგრეთვე, წერილობითი დასტური განმცხადებლის მიერ ამ ნაკვეთის საფრენი მოედნის სახით გამოყენების უფლებაზე.

5. მიუთითეთ მაქსიმალური ასაფრენი/დასაფრენი მასის მქონე საჰაერო ხომალდ(ებ)ი, რომელთათვისაც გამოყენებული იქნება საფრენი მოედანი

6. საფრენ მოედანზე უზრუნველყოფილ იქნება:

6.1 სააეროდრომო სამეთვალყურეო მომსახურება

კი არა

6.2 სააეროდრომო საფრენოსნო საინფორმაციო მომსახურება (AFIS)

კი არა

7. საფრენი მოედანი გამოყენებული იქნება:

დღის ფრენებისათვის ღამის ფრენებისათვის

8. ზუსტი მონაცემები, რომელიც აღინიშნება საფრენი მოედნის რეგისტრაციის მოწმობაში

საფრენი მოედნის დასახელება	
საფრენი მოედნის ექსპლუატანტი	

9. განმცხადებლის განცხადება იმის თაობაზე, რომ საფრენი მოედნის მახასიათებლები აკმაყოფილებს იმ მაქსიმალური მახასიათებლების მქონე საჰაერო ხომალდის მიმართ დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, რომელიც ამ საფენ მოედანზე ფრენებს შეასრულებს.

განცხადებას თან ერთვის:

(ზუსტი ჩამონათვალი თანდართული საბუთებისა, დასახელების და ფურცლების რაოდენობის მითითებით)

1. _____

2. _____

3. _____

მოგმართავთ საფრენი მოედნის რეგისტრაციის თხოვნით

_____ (განმცხადებლის უფლებამოსილი პირის გვარი, სახელი, თანამდებობა)

ხელმოწერათარიღი: 20 წ. _____



სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

საფრენი მოედნის რეგისტრაციის მოწმობა
№000000

ამ მოწმობის მფლობელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებამოსილია განახორციელოს საფრენი მოედნის ექსპლუატაცია, მოწმობაში მითითებული პირობებითა და შეზღუდვებით:

საფრენი მოედნის დასახელება: _____
ადგილმდებარეობა: _____
საკონტროლო წერტილის კოორდინატები: _____
საფრენი მოედნის მფლობელი: _____
მოწმობის მფლობელი: _____
მოწმობის გაცემის თარიღი: _____
მოწმობის მოქმედების ვადა: _____

საექსპლუატაციო პირობები: _____

საექსპლუატაციო შეზღუდვები: _____

უფლებამოსილი პირი: _____

ხელმოწერა